№ 55
მარტის 9, კვირა 1903 წ.
1877

# ივერია

№ 55
მარტის 9, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 1 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 2 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 5 კაპ.

შაბათს, 15 მარტს გარდაცვლილი იქმნება თრმეცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

## მიხეილ ალექსის ძის ციცქიევისა,

რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ანნა თამაზის ასული, დედა ელისაბედ ივანეს ასული და ძმა მღვდელი ივანე ალექსის ძე ციცქიევები.
წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ქალაქ თელავს, სოფელ ბეგაშში და ტფილისი კალოუბნის ეკლესიაში. (1—უ—1)

კავკასიის ნატურალური კონიაკი

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში

საყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—8)

## საზოგადო კრება
## სამარხი კასისა

ქართულ თეატრის დარბაზში, მარტის 9 რიცხვს, კვირას დილის 11 საათზედ, დანიშნულია ტფილისის სამარხი კასის წევრთა საზოგადო კრება: განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის ხარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და მათ ნაცვლებისა.

ქ რარდის მანუფაქტურის

საწყობში

ხლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.
(100—47) დონერ—ლეიტცი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—3-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღ. 5—7-დის. (წლ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

იღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ზედგინიძისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ზ. ო. ზედგინიძე—ქალის სნეულებათა, 8—10 ს. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ზ. ფ. ბოლქვაძე—ყელისა, ყურისა და ცხვირის, 9—10 ს.
ა. ქ. ლაბაძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ა. ბადრიძე—შინაგანი. 10—11 ს. ორშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ავადმყოფი—ვენერიული ავადმყოფობა: სამშაბათობით, ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით 11—3-დის.
ბ. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ზედგინიძე—შინაგანი, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ჟუხიძე—ქალის ავადმყოფობა—ორშ. ხუთშ. და შაბათს. $1^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.
ა. გასხუაძე—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 ს.
ზ. ზ. ჯიშკარიანი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ზ. ზ. ყიფიანი—ცისტოსკოპია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.
ა. ამბროლაძე—თვალისა, კანისა და საზარდისა, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. ბადრიძე—შინაგანი, ნერვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მეღვინე ექიმი ზ. ნ. ხაჩაიძე.
მისვლა და საექიმო რჩევა: ოთხშაბათობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგების 50 კ., ოპერაციებისა მორიგებით კტორამდე 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ქ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ზ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი, 9 მარტი.

მრავალმა სტატისტიკურმა გამოკვლევამ უტყუარ ჰყო ის ჭეშმარიტი მოსაზრება, რომ შრომის ნაყოფიერება, შრომის გონივრულად წარმოება უმთავრესად დამოკიდებულია მუშა და მშრომელ ხალხის გონებრივ განვითარებასა და ნივთიერად უზრუნველ ყოფაზე. სახელმწიფოს ეკონომიურ ზრდის პირდაპირი ინტერესები მოითხოვს, მშრომელი ხალხი გონებრივად განვითარდეს, სახელმწიფოს ამ მკვიდრისა და საიმედო ელემენტის ნივთიერი ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესდეს.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კულტურული და ეკონომიური ზრდა არა ერთსა და ორს საგულისხმიერო მაგალითს გვიჩვენებს იმისას, თუ ზემო აღნიშნულის ორის ფაქტორის გაძლიერება რამდენად საიმედო და მძლავრი საძირკველია სახელმწიფოთა კეთილდღეობისა.

გამოჩენილის სტატისტიკოსის კაროლ რაიტის გამოანგარიშებით, თვითოეული მუშა წლიურად ამუშავებს რუსეთში 381 დოლარის საქონელს და გასამჯელოს წლიურადვე იღებს 120 დოლლარს, ავსტრიაში—409 დოლლარის საქონელს, გასამრჯელოს-კი—150 დოლლარს, გერმანიაში—550 დოლლარისას, გასამრჯელოს-კი—155 დოლლარს, საფრანგეთში—545 დოლლარისას, გასამრჯელოს—175 დოლლარს, ინგლისში—760 დოლლარისას, გასამჯელოს—204 დოლლარს და შეერთებულ შტატებში—1,888 დოლლარის საქონელს და გასამჯელოს-კი წლიურად 347 დოლლარს.

კაროლ რაიტის მიერ მოყვანილი ციფირები მეტად საგულისხმიეროა. ამ ციფირებიდგან აშკარადა სჩანს, რომ რუსის მუშა ევროპიელ მუშასთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ფასის საქონელს ამზადებს წლიურად და გასამრჯელოსაც გაცილებით უფრო ნაკლებს იღებს. რუსის მუშის შრომის ასეთს მცირედს ნაყოფიერებას, რასაკვირველია, მჭიდრო კავშირი აქვს ხალხის საზოგადო განათლებასთან. ყველა იმ სახელმწიფოში, საცა წერა კითხვის მცოდნეთა პროცენტი უფრო დიდია, შრომის ნაყოფიერებაც დიდია და ამის მიხედვით მუშაც გასამჯელოსაც საკმაოდ იღებს. მიულჰალის გამოანგარიშებით, მოზრდილთა შორის წერა-კითხვის მცოდნე გერმანიასა და სკანდინავიაში 97—98%-ია, შვეიცარიაში—95%, ინგლისში—90%, საფრანგეთში—85%, შეერთებულ შტატებში—92%, ხოლო რუსეთში-კი—16%.

ზემო დასახელებული სტატისტიკური ცნობანიც საკმარისია, რომ კაცმა დაასკვნას, თუ რა დიდი და მძლავრი ფაქტორი ყოფილა სახელმწიფოს ეკონომიურ ძალთა განვითარების საქმეში მუშა ხალხის გონებრივად განვითარება, ამ მშრომელ ელემენტის ნივთიერად უზრუნველ-ყოფა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი მშრომელ ხალხის ამ ორ ფაქტორის გაუმჯობესობას დიდს ყურადღებას აქცევენ და კიდეც ამიტომ ეკონომიური წარმატება ამ სახელმწიფოთა ყველასათვის თვალსაჩინოა.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ღრმადა სწამთ, რომ განვითარებულ მუშას ბევრად ადვილად ახერხებს მიხვდეს ყოველგვარ შრომის ვითარებას, რომ განვითარებული მუშა არ საჭიროებს ზედამხედველს, უფრო გულმოდგინეთ და სვინდისიერად აწარმოებს ამა თუ იმ საქმეს, საწარმოვო მანქანებს და მასალას უფრო ყაირათიანად ეკიდება,

რუსეთის მოწინავე მწერლობამ და მასთანვე ერთად მთავრობამაც ამ უკანასკნელ ხანში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხალხის განათლების საქმეს იმპერიაში. საერო განათლების სამინისტრო ამ ჟამად ამზადებს სრულს განახლებულ სისტემას სწავლა-განათლების უკეთ მოსაწესრიგებლად. სწავლა-განათლების საჭიროება იმდენად მომწიფდა, რომ მწერლობა და საზოგადოება სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის საყოველთაო და სავალდებულო სწავლების შემოღებას თხოულობს. ამ ჟამად ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ სწავლა-განათლების მიღება საყოველთაო უნდა იყოს. უმთავრესი დაბრკოლება ამ დიადი აზრის განხორციელებისათვის მხოლოდ საშუალებაა და ამ საშუალების გამოძებნასკი მთავრობა თავის პირდაპირ მოვალეობადა სთვლის და ამიტომ, განსაკუთრებით 26 თებერვლის ხელმწიფე იმპერატორის უმოწყალესის მანიფესტის შემდეგ, სწავლა-განათლების საქმე, სახელმწიფოს მკვიდრთა საკეთილდღეოდ, უფრო კარგად მოეწყობა.

სანამ ეს დიდი საქმე სავსებით განხორციელდებოდეს მთელის იმპერიის მკვიდრთათვის, სახელმწიფოს ამ ჟამადაც აქვს ისეთი წყაროები, რომლითაც ადვილად შესაძლებელია, რამდენადმე მაინც, ხელი შეუწყოს მშრომელ ხალხის თვით-ცნობიერების განმტკიცებისა და მის ნივთიერად უზრუნველ-ყოფის საქმეს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას 1902 წლის განმავლობაში 28,334,265 მანეთი შემოსვლია, ხოლო ამავე დროს დაუხარჯავს 15,166,310 მ. ამნაირად რკინის გზის მართველობას 1902 წელს წმინდა შემოსავალი ჰქონია 13,187,955 მანეთი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზას მრავალი მშრომელი ახვევია; მათი ქონებრივი და გონებრივი გაუმჯობესების საქმე, როგორც ეს რკინის გზის მმართველობასაც არა ერთხელ აღუნიშნავს, მეტს ყურადღებას მოითხოვს.

ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ზემო დასახელებული მოგება ბევრად უფრო იმატებს, სახელმწიფო ხაზინა ბევრად უფრო მეტს სარგებლობას მიიღებს, თუ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთ ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდება, თუ რკინის გზაზე მომუშავეთა გონებრივ განვითარებას უფრო მეტი ყურადღება მიექცევა. ამ ორ აუცილებელ საჭიროების მოწესრიგება მით უფრო საადვილოა მთავრობისათვის, რომ სახელმწიფო ხაზინის წმინდა შემოსავალი ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან 13 მილიონ მანეთს აღემატება წლიურად.

მშრომელ ხალხის გონებრივად განვითარება და მისი ნივთიერად უზრუნველ-ყოფა დასავლეთ ევროპაში მძლავრი ფაქტორია სახელმწიფოთა კეთილდღეობისა და ამ გარემოებათა მოწესრიგება რუსეთისათვისაც ამგვარსავე მძლავრ ფაქტორად გარდაიქცევა.

## ტფილისი

✦ ხუთშაბათს, 13 მარტს, გამგეობის სადგომში დანიშნულია შერთებული კრება გამგეობის წევრებისა და ხმოსან-ტეხნიკოსებისა; კრებაზედ მოწვეულია ქალაქის საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი ა. ს. ბაბოვი; კრება განიხილავს, თუ რა ღონისძება უნდა მიიღოს ქალაქის გამგეობამ, რომ მტკვრის ადიდებისაგან დაიცვას რიყის მემამულეები.

✦ ორშაბათს, 19 მარტს, დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელიც განაწესებს ცხენზედ გარდასახდელ ხარჯს; კომისიამ ამ კრებაზედ უნდა ამოირჩიოს თავმჯდომარე.

✦ სამშაბათს, 12 მარტს, ქალაქის საბჭოს მდივნის ბ-ნი ს. ი. ქრელაშვილისა და საფინანსო კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ ბაბოვის მონაწილეობით, დანიშნულია ქალაქის გამგეობის წევრთა კრება, რომელიც განიხილავს დამხმარებელ კასსის დაარსების საქმეს ქალაქის მმართველობაში მოხელეთათვის.

✦ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ტფილისის გუბერნატორმა მიმართა ქალაქის თავს და აუწყა, წარმომიდგინეთ თხოვნა, რამდენი დასჭირდება ქალაქს ქალაქში მდგომ ჯარის სახლის ქირის დასაკმაყოფილებლადაო; ამაზედ ქალაქის თავმა წარუდგინა ქაღალდი გუბერნატორს, რომელშიაც აუწყებს, რომ 1903 წლის განმავლობაში ქალაქს ზემოხსენებულ საგნის დასაკმაყოფილებლად დასჭირდება 65 ათასი მანეთიო.

✦ როგორც ქალაქის გამგეობის ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვიდამ სჩანს, გასავალი გადაამეტებს შემოსავალს 173,976 მანეთით.

✦ ორშაბათს დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება.

✦ კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს

ქალაქის ცეცხლის მქრობელ რაზმის შენობის აგება, გარდასწყვიტა შენობის აგებას შეუდგნენ 15 მარტიდგან.

✦ ტფილისის სასანიტარო-საექიმო განყოფილების ინსპექტორს განზრახვა აქვს მიმართოს ქალაქის გამგეობას და სთხოვოს გაამრავლონ მოსამსახურე ფერშლები და ექიმები ქალაქის სამკურნალოსა და სადეზინფექციო კამერაში.

✦ დღეს დანიშნულია ქალაქის დურგალთა ამხანაგობის წევრთა კრება; კრება განიხილავს საზოგადოების სხვა-და-სხვა საქმეებს. ხარჯთ-აღრიცხვას და მასთანაც ამოირჩევს საზოგადოების ზოგიერთა წევრებს.

✦ ორშაბათს საბჭოს კრებაზედ უნდა მოხდეს არჩევანები ტფილისის სასწავლებელთა კომისიის წევრებისა, რომელთაც დაევალებათ ქალაქის სკოლათა საქმეების მოწყესრიგება.

✦ დღეს უნდა მოხდეს ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა კრება.

✦ ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორს ახალციხის ქალაქის თავმა მიართვა თხოვნა, რომელშიაც, აუხსნის რა ახალციხის მატერიალურ გაჭირვებულ მდგომარეობას, სთხოვს, ახალციხეში რაზმის მდგომ სახლის ქირის დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო ხაზინიდგან ასესხონ 7,500 მანეთი.

✦ ამ სამი ოთხის დღის წინად, კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოში დანიშნული იყო კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის წევრთა კრება; კრებას დაესწრნენ: ღენერალი ზელიონი, ტფილისის ობსერვატორიის დირექტორი გლასკე, ბაქოს ქალაქის თავი ბ. ნოვიკოვი, ტფილისის გამგეობის წევრი ბ. კოკჩაევი და სხვა; კრებამ განიხილა იმ ფურცლის ფორმები, რა წესითაც უნდა მოხდეს ბაქოში მცხოვრებთა აღწერა; ზოგიერთა პარაგრაფები კრებამ შეასწორა და დაადგინა აღიბეჭდოს უკანასკნელ რედაქციის ფორმით.

✦ როგორც ჩვენის გაზეთის მკითხველებს ვაუწყებდით, ამ ჟამად ცხინვალში სასტიკი საქმის გამოძიება სწარმოებს იმის შესახებ, ვინ გაიხადა სავაჭროთ სხვა-და-სხვა პირების დაზღვევა საზოგადოებებში და მათს მაგიერ დაზღვეულების ფულის მიღება; ამაზედ, როგორც ვაუწყებდით, თვით პეტერბურგიდგან დაინიშნენ გამომძიებელნი მთავრობისაგან, თანახმად დამზღვევ საზოგადოებების თხოვნისა: პეტერბურგიდანვე მოუვიდა მოწერილობა ტფილისის გუბერნიის მმართებლობას, რომ მან გამომძიებელთ ყოველი დახმარება აღმოუჩინოს; როგორც ეხლა შევიტყვეთ, გამოძიება მალე დამთავრდება, რომელმაც დიდი ბოროტება და ზოგიერთა პირების გაიძვერაობა აღმოაჩინა; ამბობენ, ბევრი იქნება პასუხისგებაში მიცემულიო, თვით მათგანიცკი, რომელნიც აქამომდე საიმედო პირად მიაჩნდათო.

✦ როგორც ყური მოვკარით, კახეთში თავად ყარაშვილების მამულებში აღმოჩენილა მადნეულობა, რომელსაც უკვე ერთი საზღვარ-გარეთელი კომპანია ყიდულობს ცხრაას ათას მანეთად.

✦ ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა მიჰმართა კავკასიის მთავარ მართებელს და სთხოვა: რადგანაც სასურველია, რომ პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტთან არსებული საგეოგრაფიო და სასტატისტიკო-საეკონომიო კაბინეტის წიგნთ საცავი შევსებული იყოს ყოველივე პერიოდულ ჟურნალ-გაზეთების გამოცემებითაო, ამიტომ გთხოვთ მიმართოთ კავკასიის ყველა გამოცემათ და სთხოვოთ, რედაქციებმა თავისი ჟურნალ-გაზეთები გამოუგზავნოს წიგნთ საცავსაო. მთავარ-მართებლის კანცელარია, აუწყებს-რა მინისტრის მოწერილობას კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, სთხოვს გაუგზავნოს საზოგადოების გამოცემა ზემოხსენებულ წიგნთ საცავს.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ამ ჟამად ყოველ მხრივ მოსდის წერილები, და სთხოვენ სხა-და-სხვა მცენარეულობის თესლეულობას,—როგორათაც ბამბისას, გიმმაღაიის პურის სათესლეს, აბრეშუმის ჭიისას და სხვა; საზოგადოების გამგეობა საფიქრებელშიაც არის ჩავარდნილი იმ გარემოებით, ვაი თუ ვერ დააკმაყოფილოს მთხოვნელები; საზოგადოებიდგან ყოველ დღე რამდენიმე ფუთი გოგირდი გააქვთ საქართველოს სხვა-და სხვა კუთხეში ვაზის საწამლავად; საზოგადოების ვარაუდით, წელს მემამულეთა მოთხოვნილებამ ერთი ორად გადაამეტა წარსულ წელსაო.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას აღუბეჭდია პატარა წიგნაკებად სხვა-და-სხვა დარიგება მცენარეებისა და ვაზის წამლობის შესახებ; საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ გაზაფხულზედ დაურიგოს ეს წიგნაკები მემამულეებს უფასოდ.

✦ როგორც ჩვენის გაზეთის მკითხველებს ვაუწყებდით, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მდივანმა ბ-ნმა ე. ი. იოსელიანმა განიზრახა, წელიწადში ორჯელ მაინც გამოსცეს კრებული ამ დროის ქართული ჟურნალ-გაზეთებსა და ლიტერატურაში მოღვაწეთა წერილებისა; ა. იოსელიანს უკვე აღუნიშნავს პროგრამა და დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა გამოცემისა; შეუდგენია სია იმ პირთ, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღონ გამოცემაში; ბ. იოსელიანი ამ ცოტას ხანში მიჰმართავს ამ პირთ, აცნობონ, კეთილ ინებებენ მონაწილეობის მიღებას, თუ არა; პასუხის მიღების შემდეგ ბ. იოსელიანს განზრახვა აქვს, ამავე პირთა დასწრებით, გამართოს კრება, რომელზედაც განხილულ უნდა იყოს, თუ რა განყოფილებას უნდა მიექცეს ყურადღება და რა ნაწილს უნდა დაეთმოს მომეტებული ადგილი გამოცემაში.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „უჯრათა სამეფო“, თხზ. ფ. კონისა, თარგმნილი გ. შავდიას მიერ და გამოცემული ალ. არაბიძისაგან. წიგნი საკმაოდ კარგის ქართულით არის ნათარგმნი და მრავალ სასარგებლო ცნობას აძლევს მკითხველს ბუნების მეტყველების შესახებ წიგნში სულ 56 გვერდია. ფასი წიგნისა ორი შაურია.

✦ გაზ. „Черном. Вѣстн.“ საინტერესო ცნობები მოჰყავს ბათუმის მხარეზე, ჩაქვაში, ჩაის მოსავლის შესახებ. 1902 წ. საუფლისწულო მამულში, ჩაქვში, 55 დესიატინაზე ოთხჯერ მოუგროვებიათ ჩაის მოსავალი: აპრილ-მაისში, ივნისში, სექტემბერში და ოქტომბერში. სულ მოაგროვეს 116,165 გირ. ნედლი ფურცელი, რომლიდან გაკეთდა 1000 ფუთი ხმელი, შემუშავებული ჩაი. კერძო მესაკუთრეებმა სულ 6,829 გირ. ნედლი ფურცელი მოაგროვეს და მთელი მოსავალი ჩაქვის საუფლისწულო მამულის ქარხანას ჩააბარეს. ამ ქარხანაში ნედლი ფურცლიდან ხმელ ჩაის აკეთებენ და შემუშავების ფასს მესაკუთრეებს ახდევინებენ. $4^1/_5$ გირ. ნედლი ფურცლიდან 1 გირ. ხმელი შემუშავებული ჩაი დგება.

სულ გავა ბაზარში პარშავდელ მოსავლის ჩაი 11,000 ფუთი.

✦ ამავე გაზეთის ცნობებით, საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ქ. ბათუმის შემოსავალ-გასავლის სია მიმდინარე 1903 წლისთვის. შემოსავალი უნდა იქნეს—397,557 მან.; ამ რიცხვში 309,330 ქალაქის საზოგადო შემოსავალი, 15,037 მან. განსაკუთრებულ საობლიგაციო სესხისაგან, 23,900 მან.—ნავთსადგურის გარდასახადებისაგან, 49,220 მ.—ამ გარდასახადთა მიმდინარე შემოსავლიდან. გასავალი უნდა იქნეს: 397,051 მ., ამ რიცხვში 308,824 მ.—ქალაქის საზოგადო შემოსავლიდან, 15,037 მ. —საობლიგაციო სესხის თანხიდან, 23,000 მ.—ნავთ-სადგურის გარდასახადებისაგან და 49,290 მ. ნავთ-სადგურის გარდასახადთა მიმდინარე შემოსავლიდან.

—

**სამეურნეო საზოგადოების კრება.** პარასკევს, 7 ამა მარტს, ტფილისის კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში წაიკითხა ვრცელი მოხსენება საზოგადოების და საბჭოს წევრმა აგრონომმა ა. საავომა ამიერ კავკასიაში საეროზო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი კრიმ-გირეი, დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კავკასიის მშვენიერი ბუნება, ასე დაიწყო თავისი საფუძვლიანად შედგენილი მოხსენება ბ-ნ ა. საავომა, საუცხოვო ჰავა, ტოპოგრაფიული მდებარეობა, მიწის მდიდარი წიაღაგი, სარწყავი და სასმელი წყლის სიუხვე, თვალუწვდენელი საძოვარი ადგილები და იალაღები, ჯერ კიდევ გაუტეხელი ტყეები და ორთა ზღვა შუა მოხერხებული ამიერ-კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა—ყველ ეს პირობანი ხელს უწყობენ ამიერ-კავკასიაში სამეურნეო კულტურის და მრეწველობის განვითარების საქმეს. ამგვარად შემკულ ყოველის მხრით ქვეყანაში სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა უნდა ჰყვაოდეს, გლეხი ნივთიერად კმაყოფილი იყოს, უფრო მეტს ვიტყვით, გლეხი მდიდრულად უნდა სცხოვრობდეს. სამწუხაროდ გლეხის ამგვარ კეთილდღეობას ჩვენ ამიერ-კავკასიაში ვერა ვხედავთ. პირიქით მთელს ამიერ-კავკასიაში უტყუარად ვამჩნევთ სრულს დაქვეითებას სასოფლო მეურნეობისა და მრწველობისას, ადგილობრი მკვიდრის უილაჯობას, სიღარიბეს, სიღატაკეს, სამეურნეო ცხოვრების ერთსა და იმავე წერტილზე შეჩერებას, ამავე სფერაში დახავსებულს წეს-წყობილებას. ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის ინტენსიური ფორმა უნდა იყოს განვითარებული, მაშინ როცა მთელს მხარეში ხვნა-თესვას აქვს დათმობილი უპირატესობა.

კარგი და კეთილი, რომ ხვნა-თესვაც გაუმჯობესებული წესით, თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით სწარმოებდეს. სავალალო და სამწუხარო ისაა, რომ გლეხი მამაპაპეულ გუთანს საცოდავად შეჰყურებს და ამ გუთნის გარეშე კიდევ თუ სხვაფრივ და სხვა წესით შესაძლოა სახნავზე კვალის გავლება თითქმის შეუძლებლადაც მიაჩნია. რომ ხვნა-თესვას ამიერ კავკასიაში უპირველესი ადგილი უჭირავს ნათლადა სჩანს შემდეგის სტატისტიკური ციფრებისაგან. მთელ ამიერ კავკასიას ხვნა-თესვისაგან საერთოდ შემოუდის 99,2 მილიონი, საქონლის მოშენებისაგან 40,4 მილიონი, მებაღეობისა და მებოსტნეობისაგან 35,8 მილ., ბამბის მოყვანისაგან 3,5 მილ. და აბრეშუმის მოყვანისაგან 1,8 მილიონი. სახნავ-სათესი ადგილი შეადგენს ამიერ კავკასიაში 43,9% დანარჩენ საკულტურო მიწებისას. მიუხედავად ამისა ადგილობრივ მკვიდრთა შორის ვერავითარს გაუმჯობესობას, სამეურნეო კულტურის ზრდას ოდნავაც ვერ ვამჩნევთ, მაშინ როდესაც სრულიად წინაამდეგს უნდა ვხედავდეთ. კავკასიის ადგილობრივ მკვიდრს—ვერავინ ვერ დასწამებს უნიჭობას, შრომის უქონლობის უნარს. პირიქით ამიერ კავკასიაში ბინადარ ერების ნიჭიერება, შრომის მოყვარეობა და გამჭრიახობა მრავალის ფაქტებით შემოწმებულია. ამა თუ იმ მკვიდრთა სიმდიდრე გაიზომება ერის კულტურული და სოციალური ვითარებით. ეს ვითარებანი მძლავრნი საფუძველნი არიან ერის ეკონომიური კეთილდღეობისა, რაიცა ადვილად შესამოწმებულია ისეთის ქვეყნების ეკონომიური განვითარების ისტორიით, როგორიცაა შვეცია, ნორვეგია, ფინლანდია და სხვა ქვეყნები.

(შემდეგი იქნება)

**ქართლის ვიწრო-ყვლიანი რკინის გზა*).**

ყველასათვის ცხადად გამორკვეულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რიგიანად და საფუძვლიანად გამართულ გზებს რომელიმე მხარის სასოფლო მეურნეობის წარმატებისა და კულტურულ განვითარებისათვის. სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებმა არა მცირედი სჯა-ბაასი მოანდომეს საგზაო საქმის საუკეთესო მოწყობას ადგილობრივ. კერძოდ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ჰქონდა დაწვრილებითი ბაასი კახეთის რკინის გზაზედ, რომელმაც უნდა შეუერთოს ეს მხარე ამიერ კავკასიის უმთავრესს რკინის გზას (მაგისტრალს). ამ სჯა-ბაასის დროს კვლავ დამტკიცდა, რომ კავკასიაში გზების გაყვანის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვრჩება გასაკეთებელი და რომ მარტო კახეთი როდია მოწყვეტილი მსოფლიო ბაზარს.

თუმცა ამიერ კავკასიის რკინის გზა თითქმის 100 ვერსის სიგრძეზედ ქართლში მიდის, ეს ნაყოფიერი და მჭიდროდ დასახლებული მხარე მაინც ისეთს მდგომარეობაშია, თითქო მივარდნილი და მიუვალი იყოსო. ყველამ ვიცით, რომ ქართლის მკვიდრნი დასახლებულნი არიან რამდენიმე ერთმანეთის გზად მდებარე ხევსა და დელზე, რომელნიც განშორებულნი, გადაკვეთებულნი არიან მაღალის მთებითა და ძნელად გასავლელ ღელებით.

ეს განცალკევებული ხევები თითქმის სწორად ჩამოდიან ამიერ კავკასიის რკინის გზისაკენ, ხოლო მკვიდრთა უმრავლესობა ხების შესართავებთან კი არ არის დასახლებული, არამედ უფრო ზევით, ხევების სათავეებისაკენ რკინის გზის მოშორებით. ასეთს მოუხერხებელ მდგომარეობას დაერთვის ისიც, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზას ვერ მისწვდენია მრავალ დაბა და სოფელი, რადგანაც მათ და რკინის გზა შუა ძევს მტკვარი ან სხვა ძნელად გასავლელი მდინარე.

ამ გვარად ეხლანდელი რკინის გზა ეხლა მხოლოდ ქართლის განაპირა სოფლებს, რომელნიც მოშორებულნი არიან აქაურ უმთავრეს დასახლებულ ადგილებს და მკვიდრთა მეურნეობა მაშასადამე ეს რკინის გზა ვერ ჩაითვლება ისეთს გზად, რომელსაც შეუძლიან აღორძინოს ადგილობრივი მრეწველობა და ხელი შეუწყოს მის აყვავებას. ამიერ კავკასიის რკინის გზა მხოლოდ ასრულებს თავის დანიშნულებას, როგორც სატრანზიტო გზა იმ სავაჭროებისათვის, რომელთაც უნდა განვლონ უმოკლესი მანძილი შავისა და კასპიის ზღვას შუა. მანძილის შემოკლებისათვის რკინის გზის გაყვანის დროს გვერდი აუქციეს ისეთს ქალაქს, როგორიც ქუთაისია; იმავე მიზეზის გამო უგულებელ ჰყვეს სამეურნეო ინტერესები უმთავრეს მხარეებისა—საზოგადოდ, და ქართლის—კერძოდ.

ერთხელ რკინის გზასთან დაშორებით და, მაშასადამე, უმთავრეს ბაზრებს მოწყვეტით ქართლის ზოგი ერთი ადგილები იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც კახეთია და თუ ამ მხარის სასოფლო მეურნეობის გაძლიერებისა საჭიროდ იცნეს კახეთის რკინის გზის გაყვანა, იგივე საჭიროება არა ნაკლებ თვალსაჩინოა ქართლის ზოგიერთ ადგილებისათვისაც. ამ ორი მხარის მდგომარეობაში განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მასაზრდოებელი შტო რკინის გზისა, რომელმაც უნდა შეუერთოს კახეთი ამიერ კავკასიის მაგისტრალს, უფრო გრძელი იქნება, ვიდრე ქართლის შტო. ხოლო ეს განსხვავება უფრო რაოდენობითია, ვინემ პრინციპიალურის თვისებისა; თუმცა რაოდენობითი განსხვავებაც მხოლოდ პირველ შეხედვით სჩანს, და აი რად.

კახეთის მდებარეობა ისეთია, რომ ერთი მოუწყვეტელის გზით თითქმის ყველა ადგილის ჩამოვლა და მიუვალი დარჩება მხოლოდ რულიად უმნიშვნელო ადგილები. ქართლში-კი სულ სხვაა. როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, ქართლი დაყოფილია განცალკევებულ ხეობად და, ამის გამო, ერთი მოუწყვეტელი რკინის გზა ვერ შეაერთებს ყველა დასახლებულ ადგილებს. რკინის გზამ რომ ქართლს სამსახური გაუწიოს, საჭიროა გაკეთდეს რამდენიმე ცალკე შტო ამიერ კავკასიის მაგისტრალის რამდენისამე სადგურიდგან ხევების გასწვრივ. ორი ასეთი შტო არის უკვე გაყვანილი გორის მაზრაში, თუმცა ამ გზებს, სამწუხაროდ, არა აქვს აქაური მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა, რადგანაც ერთი, ატენისა, საზოგადო სა-

*) მოგვყავს თარგმანი ბ-ნ გ. ქურულის მოხსენებისა, რომელსაც სათაურად აქვს: „Краткая записка о направленіи, типѣ и экономическомъ значеніи карталинской узко-колейной желѣзной дороги.

რედ.

# ფელეტონი

## შურდული

(საკვირაო გაზეთი)

III

უნდა მოგახსენოთ, რომ მეგაზეთეობა, თუ რედაქტორობა, ერთობ თავსატეხი საქმე ყოფილა; ასე რომ მცოდნოდა, განა თავის დღეში რისიმე გამოცემას დავიწყებდი! დღე ერთია და წერილი ათასი; მეც, რაც შემიძლია, ვისვრი კალათაში წერილებსა; მაგრამ, ესეც უნდა მოგახსენოთ, შიგდაშიგ ისეთი წერილები გამოერევა ხოლმე, რომ სწორედ თქვენი მოწონებული. არ შემიძლიან არ განვუზიარო „შურდულის“ მკითხველებს ერთი წერილი, რომლის სათაურად ავქსონს შორის დებული მოუყვანია: „ჰმ!!“ მაგრამ საქმე სათურში არ გახლამს. აბა მოვუსმინოთ ავქსონსა:

„მე პროვინციელი გახლავართ და ხანდისხან, როცა საკითხავი მასალა შემამელევა, ზღაპრებსაც კარგად მოვისმენ ხოლმე; ამას წინად, კნიაზმა სანდრომ ერთი უცნაური წიგნი მათხოვა: „ბარონ მუნჰაუზენის მოგზაურობა და თავგადასავალი“. ღმერთმა დაუმადლოს სანდროსო, ზამთრის ღამეები უდარდელად გამატარებინა. უნდა მოგახსენოთ, რომ ის ვიღაც ბარონია, ძალიან ცრუპენტელა ყოფილა, ისეთი ცრუპენტელა, რომ ზღაპრადაც არ გამიგონია, მაგრამ იმის ცრუპენტელურს ნაამბობებში ბევრი საგულისხმიერო რამ იმალება.

ბარონ მუნჰაუზენი ერთხელ გაემგზავრა გერმანეთიდამ რუსეთში, პეტერბურგისაკენ; არ მახსოვს კარგადო, ამბობს ბარონი, სად შემემთხვა ერთი უცნაური ამბავიო—ესტლიანდიაში თუ სხვაგან, ეს-კი ნამდვილად მახსოვს, რომ დაბურულს ტყეში შემემთხვევა: მივდივარ მარხილით ტყე-ტყე; ვხედავ უკან მომდევს უშველებელი მგელი, კბილები დაუხქენია, ლაშებიდამ დორბლი გადმოსდის, თვალებს აბდღვრიალებს; ეცყობოდა, ნიშანში მე და ჩემი ცხენი ამოგვიღო; აი, აი, დაგვეწვდა, გადარჩენის იმედი აღარ არის; მე ჩემდა უნებურად პირქვე წავემხე მარხილში და მივანდე ცხენს ჩემი ბედი და იღბალი; მგელს ჩემი გამხდარი სხეული არ მოეწონა, შემატყო, რომ კბილს არა გაჰყვებოდა-რა, გადამხედა თავზედ და შიგ კუდის რიკში დაეძგერა ცხენსა, სასწრაფოდ შემოაგლიჯა და შემოაჭრა ცხენს მთელი უკანა ნაწილი; საბრალო ჩემი რაში მაინც გარბის სიმწვავისაგან; გაუძაძღარი მგელი არ ეშვება, რაც ძალი და ღონე აქვს სრუტნის და სწოვს სისხლსა. დავატყე, რომ მგელი მე ხელს აღარ მახლებდა, წამოვყელყელავდი და რას ვხედავ? მგელი თითქმის ნახევრობამდის გადამძვრალა ცხენში და განაგრძობს სრუტვნას და თქვლეფვასა. მოვიმარჯვე მათრახი და კაი-კაი უცხუნე მგელსა; ის საცერანო, მე მეგონა, გამოძვრა, ახლა-კი გადმიახტება-მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, სულ ერთიანად შიგ ცხენშიკი გადაძვრა; უცბად ცხენის ჩონჩხმა მიწაზე ბრაგვანი მოადინა და მგელი-კი მის ტყავში დარჩა. მე რაც ძალი და ღონე მქონდა ვუცხუნე და ვუცხუნე მგელის მათრახები და ერთის ყოფით და ამბავით ჩავირბინე პეტერბურგშიო“.

აბა დაუფიქრდი, ჩემო მკითხველო, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი: იმ ცხენის მდგომარეობაში არა ვართ დღეს ჩვენ, ქართველები?! სწორედ. „ცნობის ფურცლისაგან“ ძმად და მეგობრად ცნობილმა სომხის ბურჟუა ინტელიგენტებმა სწორედ გამოგვხრეს; შიგ გულ-ღვიძლში ჩაგვიძვრნენ და ოდნავდა გადარჩენილს სისხლის წვეთებსაც გვწოვენ. სურთ ჩვენის დამცირებით, ჩვენის შელახვით თვისი დიდება ააგონ. ჩვენ ამდენს ხანს ვერ შევიგნეთ დიდებული მოძღვრება ოუსთაველისა... არა, იქნება კიდევაც შეგნებული გვაქვს, შეუგნებლობას ვერავის დავწამებ, მაგრამ ვერ ვასრულებთ მის მოძღვრებასა:

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს“...

მოყვრულად გვაჩვენებენ თავს შინ, მალულად-კი, შინ თუ გარედ, ეს მოყვარე-მტერი მახეს გვიგებს, ზნეობას გვიგინებს, სახელს გვიტეხამს, ადგილს იჩემებს, ისტორიას გვართმევს. როდესაც ხმას ამოიღებს ვინმე ჩვენთაგანი და მიუთითებს: ჩემო მტერ-მოყვარე, ცოტა ზდილობა იქონიე, ეს ასე არ არისო, —მოგაძახებენ: ჰაი თქვე შოვინისტებო, თქვენაო. ამას მიაძახილს ეუბნებიან ჩვენი მწერლებიც და გულ-გაკეთებულნი უფრო ყოყლოჩინობენ. წამდაუწუმ გაიძახის ერთი ნაწილი ჩვენი პრესისა, სომეხთა მოწინავე ახალგაზდობა სულ სხვა აზრს ადგია, ქართველებთან ერთობა, ძმობა და მეგობრობა სურთოა; თუ თითო-ოროლა სომეხთაგანი წინააღმდეგს წამოაყრანტალებს ხოლმე, რა ვუყოთ, ისინი შოვინისტები არიანო. ჰმ! კარგი გასამართლებაა, თქვენმა მზემ!.. არა, რომელი სომეხთა მწერალი, მეცნიერი, გინა არა-მეცნიერი, სწავლული, გინა უსწავლელი არ არის შოვინისტი!! აბა დამისახელეთ ისეთი მწერალი, ისეთი მეცნიერი, ისეთი სწავლული სომეხთაგანი, რომელიც ჰქადაგობდეს ქართველებთან ერთობასა და შოვინისტი არ იყოს?! ერთს წამს წარმოვიდგინოთ, რომ „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ ილია ჭავჭავაძისა წყლის ნაყვაა, არაფრად არა ღირს, ცილი დასწამა „სომეხთა მეცნიერთა“, არაფერი იმისთანა არა მოუნდენიათ რა, რასაც ისე საბუთიანად ამბობს ილია და ჩაქუჩსა და მეხსა სცემს თავში „სომეხთა მეცნიერთა“; გადავავლოთ თვალი ახალ წერილებს, დაბეჭდილს ამ წლის „ივერიის“ 49 და 50 ნომრებში ამ სათაურით: „რამდენიმე შენიშვნა“ სომეხთა საქმის გამო. ნებას მივცემ ჩემს თავს, რომ იმ დიდად საყურადღებო წერილებს ოდნავ თვალი გადავავლოთ, რათა პირში ბურთი ჩავჩაროთ სომეხთა „მეცნიერებსა“.

ჯანი გავარდეს, თუნდა სოფელ-სოფელ მოხეტიალე ფოტოგრაფებმა, ეკლესიის და სხვა-და-სხვა ძველს ქართულს ისტორიულს ნამთებზედ შალონ ქართული წარწერანი; ჯანი გავარდეს, წააწერონ, რომ ესა და ეს ტაძარი ამა და ამ სომეხთა მეფეს გაუკეთებია! შალონ წარწერანი, აწერონ თავიანთი, ვაპატიოთ ეს სიბრიყვე. მაგრამ როდესაც მეცნიერი კაცი წაშლის შენ ისტორიულ ნაშთს-კი, არა მარტო, როდესაც იგი მთლად შენის ისტორიის შლას ქვეყანას უმტკიცებს, რომ საქართველო არ ყოფილა, ქართველი ვინ ოხერია, -აიდამ ჰკნავისო, მაშინ-კი, უნდა მოგახსენოთ, ვერ მოითმენ, რომ ბრაზი არ დაანთხიო.

ერთხელ საფრანგეთის ერთს დიდ პროვინციალურს ქალაქში, განაგრძობს ავტორი წერილისა ბ-ნი ა. კვერ—ძე, ვიღაც ახალგაზდა სომეხი საჯაროდ კითხულობდა გეოგრაფიულ საზოგადოების დარბაზში სომხეთის გეოგრაფიის შესახებ ლექციას.. ამ ვაჟბატონს საქართველოს ორი ქალაქი, ორიოდე დაბა და რამდენიმე სოფელი სომხეთის ნაწილათ გამოეცხადებია სწავლულ ფრანგების წინაშე, საქართველო რამდენსამე ნაწილად და პატარ-პატარა ერებად დაუყვია. ეს არ გვაკმარეს. ახლა გამოსცეს ფურცე გეოგრაფიული რუქები, სადაც მთელი საქართველო „დიდ სომხეთის“ ნაწილს წარმოდგენს და ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი სომხეთის დედა-ქალაქად არის ნაჩვენები, რასაკვირველია, ამას შემდეგ არშაკ ჩოპანიანი თამამად იყვირებს საზღვარ-გარეთის კონფერენციებზედ, „რომ სომხობა ერთად-ერთი ერია ევროპისა და აზიის შუა, რომელიც თვისის ისტორიული მსვლელობით, მოწოდებულია შეიქმნას ევროპიელ ცივილიზაციის მოწინავე რაზმად აზიაშიო“.

„ვიყვნეთ თუ არა გულხელ დაკრეფილნი ამ გვარ ამბების გაგონებაზე? ვიკითხავ მეც ბ-ნ კვერ—ძესთან ერთად. —არა, გათავდა! სომეხთა მეცნიერნი-კი არა მარტო, მთელი მისი მწერლობა ბრძოლას გვიცხადებს, შურს სთესავს, გვისევს თვის ერსა, აღმოფხვრა და წაშლა უნდა ჩვენის სახსენებლისა. რაღანი ვართ?

„თუ რამ გვაქვს, ჩვენად არ ითქმის
თუ რამ გვყავს, არ ღირს ყოლადა!
ჩვენსავ წალკოტში გვტყავებს,
არ თუ გვიცნობენ ტოლადა...

[illegible]

ქვს, და ამ ძვირფას მასალის ღრმად გაზიდვასაც ქალაქებში, უეჭველია, უნდა მოველოდდეთ. ცხადი ნიშნები ქვანახშირის მადნებისა და სხვა ლითონებისა გვიქადის სამადნო საქმის აღორძინებასაც; აქაურ მთების კალთებზედ ჰხარობს მრავალ გვარი სამკურნალო მცენარე; ჯერ ეხლაც

[illegible]

(შემდეგი იქნება).

## ჩვენებური ამბები

[illegible]

თუ გლეხის ბატონის ნება-რთვით სახნავი მიწა ეძლეოდათ ღლიური ათ შაურად, შეშა ურემი გამოჰქონდათ აბაზათ, სახლის ქირას არ აძლევდნენ, სახლის შესაკეთებელ მასალაში ფულს არ ხდილობდნენ, მოურავი რაკი ჰხედავს, რომ მებატონეს „არ სცალიან“ სოფელში მოსასვლელად, ურემ შეშაზე ახდევინებს 60 კ. სახლის ქირაში წელიწადში სამ მანეთს, დღიურზე შემოსავლის მეოთხედს და კიდევ ექვს აბაზს. სახლის მასალის ფასს ხომ ერთი ორად იღებს და სჯიბავს თავისთვის. მოდი, გლეხო კაცო, და აიხედე მაღლა, გასწორდი წელში. ბევრს ჩავჩიჩინებთ: სკოლა გაიკეთეთ, სკოლა, მაშინ წინ წამოიწევითო, მაგრამ საიდან გაიკეთოს სკოლა, როდესაც პერანგს ისე სცვეთავს, რომ ერთხელ საპნით ვერ გარეცხამს. აქ ჟამად აქ მანთაშოვი ყიდულობს მამულებს და ასახლებს სომხებს.

სტ. ბაიდოშვილი.

## რ უ ს ე თ ი

გარდასახადთა დამწესებელ დეპარტამენტში უკვე დაიწყო ბჭობა იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც უნდა შემოიღონ ამას იქით, რადგან, მანიფესტის ძალით, გლეხთა შორის ურთიერთი თავდებობა გაუქმებულია.

— სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან შემუშავებული პროექტი, სამეურნეო შინაარსის სახალხო კითხვათა შესახებ, უკვე დამტკიცებულია. კითხვების ნება მიეცემათ არა მარტო სამინისტრო უწყების დაწესებულებათა და მოხელეთ, არამედ კერძო კაცთა, საზოგადოებათა და დაწესებულებათა. კითხვების გამართვისათვის საჭიროა ნებართვა სახელმწიფო ქონებათა მმართველისაგან და სხვა მოხელეთაგან, რომელთაც სამიწად-მოქმედო სამინისტრო დანიშნავს კითხვების პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. ამ მოხელეთ უნდა აირჩიონ მკითხველი, რომელიც ამ საგნისათვის სპეციალურად უნდა იქნეს მომზადებული. თუ საჭირო იქნება, კითხვების გასამართავად ხარჯს თვით სამიწად-მოქმედო დეპარტამენტი იკისრებს.

— საკანონმდებლო წესით უნდა განხილულ იქმნას პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზღონ ქარხნების პატრონებმა მუშათ, რომელნიც სხვა და-სხვა უბედურ შემთხვევათა გამო დაშავდებიან და მუშაობას ვეღარ შესძლებენ. პროექტის საგანი შემდეგია: ქარხნის პატრონმა უნდა უზღოს მუშას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ქარხანაში მუშაობის დროს დაშავდა, ან იმისთანა სამუშაოზე, რომელიც ქარხნის მოქმედების სფერას ეკუთვნის. გამორკვეული არიან ისეთი შემთხვევანი, რომელნიც ქარხნის პატრონს ამ ვალდებულებისაგან გაანთავისუფლებენ: მაგალითად თუ უბედური შემთხვევა ისეთი კაცის მიზეზით ან ბოროტ-განზრახვით მოხდა, რომელიც ქარხანას არ ეკუთვნის, იქ არ მუშაობს. თუ ქარხნის პატრონმა თავისი მუშები დააზღვევა, დაშავებულთათვის ფულის გადასახადის ვალდებულებისაგან თავისუფალია. დაშავებული მუშის სავალდებულო შემწეობა, მისაჯული ფული—ხელშეუკარებელ უნდა იქნეს სამსჯავრო და ადმინისტრატიულ დაწესებულებათათვის. დაშავებულთა დაზღვევის შესახებ საქმეებს შემოკლებულის წესით გაარჩევენ. სამსჯავროში გარჩევამდის ამ საქმეებს საქარხნო ინსპექტორი გაარჩევს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ორივე მხარის—მუშისა და ქარხნის პატრონის უფლება და ვალდებულებანი. საჩივრის ვადა 2 წელიწადია.

## უ ც ხ ო ე თ ი

**გერმანია.** ამას წინად ბონის უნივერსიტეტის რექტორმა ციტელმანმა, უნივერსიტეტის დამთავრებას მოწმობის ჩაბარების დროს, ვრცელის სიტყვით მიჰმართა მემკვიდრე პრინცს.

„თუმცა ჯერ სულ ახალ-გაზრდა ბრძანდებით, მაგრამ მაინც თამამად შეგიძლიანთ გაითვალისწინოთ ის ხანა თქვენის ცხოვრებისა, რომელიც უნივერსიტეტში დაჰყავით. ეხლა, როდესაც სტოვებთ ჩვენს უნივერსიტეტს, ალბად, ეკითხებით თქვენს თავსა,— ვპოვე, თუ არა, უნივერსიტეტში ის, რასაც მოველოდდიო?“ დარწმუნებული გახლავარ, თქვენო უმაღლესობავ, რომ, როგორც ყოველს სტუდენტს, გონებრივს საგზალთან ერთად, თან მიგყვებათ საამური მოგონებანი სანეტარო დღეებისა და ძალდაუტანებელ სიმხიარულისა. თქვენის სადგომის წინ მედიდურად მოდიოდნებოდა რეინი და დაჰყურებდით მისს მომხიბლავ ჭალაკ-ხეობას, რომლის ბადალი მთელს სახელმწიფოში არა მოიპოვება-რა. დროს ატარებდით ტოლ-ამხანაგთა შორის, ჰხარობდით მათის სიხარულითა, მღეროდით მათთან ერთად „frei ist der Bursch!“ (გაუმარჯოს სტუდენტთა თავისუფლებას). მართალია, თქვენი დიდი და საბედნიერო მომავალი ბრწყინვალეა, მაგრამ ამასთანავე მტკიცედაა შეკავშირებული უდიდეს პასუხისმგებლობასა და მზრუნველობასთან. აქ-კი თქვენ არა გაწუხებდათ-რა, მხოლოდ ემზადებოდით ცხოვრებისათვის, სავსებით სარგებლობდით ახალგაზრდობით და თანაც ავარჯიშებდით და ანვითარებდით თქვენს გონებას. აი, ამიტომა ვგონებ, თქვენო უმაღლესობავ, რომ, როგორც ყოველი ჩვენგანი, ბონში გატარებულ ოთხს სემესტრს მუდამ განსაკუთრებულის სიამოვნებით მოიგონებთ. ეს მოგაგონებთ, როგორც ნათელი შუქი, გულიდგან გადაგყრით ცხოვრებისაგან მონაბერ მწარე ფიქრებსა. სულ სხვა საქმეა,—რა გონებრივისა და სულიერის საგზლით აღიჭურვეთ ჩვენს უნივერსიტეტში. მე ამ შემთხვევაშიაც ვეცდები გავლენა ვიქონიო თქვენს მსჯელობაზე ჩვენს სასარგებლოდ. ასეთ მოკლე ხანში შეუძლებელია კაცმა შესძლოს შეთვისება იმ აუარებელ ცოდნათა, რომელსაც უნივერსიტეტში გადიან. თქვენა გსურდათ გაგეცნოთ უმთავრესი მეცნიერებანი, განსაკუთრებით, რომელნიც შეეხებიან საზოგადოსა და სახელმწიფო ცხოვრებას. რიცხვი იმ ლექციათა, რომელიც თქვენ მოისმინეთ, მეტად დიდია და, რასაკვირველია, ვერ შესძლებდით ყოველსავე ჩაჰკვირვებოდით და სავსებით შეგეთვისებინათ. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ ყოველი მეცნიერება თანაბრად საგულისხმო არ იყო თქვენთვის. მაგრამ, განა ეს იმას მომსწავებს, რომ უნივერსიტეტი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას? ჩემის აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა უარ-ვყოთ მეტად შემცდარი აზრი უნივერსიტეტთა ხასიათისა და მიზნის შესახებ. იგინი—უმაღლესი სკოლაა ცოდნისა და არა საალმზრდელო დაწესებულება ერთგვარის მზამზარეულის პროგრამით. ჩვენს სუფრაზედ მრავალი საჭმელია და ვბედავ დავარწმუნო თქვენი უმაღლესობა, რომ ის საჭმელები-კი, რომელნიც უეჭველად ეჩვენება კაცს პირველ გასინჯვის დროს, მეტად შემრგე და მაწიერია, მხოლოდ ჩვენ სრულს თავისუფლებას ვაძლევთ ყველას, ის აირჩიოს, რაც მოსწონს. გერმანიის უნივერსიტეტთა ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ეს—საუკეთესო ღონისძიებაა მეცნიერების პროგრესისა და მისდა სიყვარულის აღსაძვრელად: ის, რასაც სტუდენტი იძენს, პროფესორთა დახმარებით იძენს; მაგრამ ის იძენს ცოდნას დამოუკიდებლად, თავის ძალ-ღონითა და ბეჯითობით, თავის სურვილისამებრ. ჩვენ ვთესავთ, მაგრამ იხეირებს, თუ არა, ჩვენი ნათესი, ეს მსმენელზედაა დამოკიდებული. თქვენც ამასვე მოგახსენებთ, თქვენო უმაღლესობავ: შეიძინეთ რამე, თუ არა,—ეს თქვენზედ უფრო ჰკიდია, ვიდრე ჩვენზედ: თუ-კი თქვენ განიმსჭვალეთ მეცნიერების სიყვარულით, განაგრძობთ მომავალშიაც მუშაობას, ადევნებთ თვალყურს სწავლა-განათლების სხვა-და-სხვა მოვლენათა, რაიცა ამხნევებს და სულიერს სიძლიერეს ჰმატებს ადამიანს,—ფუჭად არ ჩაუვლია იმ დროს, რაც ბონის უნივერსიტეტში დაჰყავით. როგორც მე, ისე ჩემს ამხანაგებს, ყველაზედ უფრო ისა გვწადიან, რომ ჩვენს მომავალ იმპერატორს შესისხლ-ხორცებინოს ის აზრები, რომელიც ნაყოფია მეცნიერთა ხანგრძლივისა და ბეჯითის შრომისა უფლებისა და ის ტორიის მეცნიერებაში, რომ მომავალში მოეგონებინოს ხოლმე დაჟინებით,—ეს მე გამიგონია თავისუფალ, ქედ-მოუდრეკელ მეცნიერთაგან, რომელთა ხელმძღვანელი ჭეშმარიტების გარეშე არა არის-რაო. უნივერსიტეტის პროფესორი ერთსა და იმავე დროს მასწავლებელიცაა და მკვლევარიც. ეს ორი ნიჭი ყველას არა აქვს თანაბრად განვითარებული; ხშირად ხდება, რომ თვით გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებელიც-კი ვერ ახერხებს მოწაფეთა თვალ-წინ აჰხადოს ფარდა, რომელიცა ჰფარავს ლაბორატორიის და მეცნიერის კაბინეტს, და თვალსაჩინო ჰყოს ის აუარებელი შრომა და ღვაწლი, რომელსაც ეს დაუღალავი მუშაკნი ეწევიან კაცობრიობის სასარგებლოდ. თუ თქვენ შეიგნეთ ყოველივე ეს, და თქვენს გულში შთაინერგა პატივისცემა უანგარო მეცნიერების სიწმინდისა და სიდიადისადმი, ვინაიდგან იგი უტეხსა, უმეცრების წყვდიადით მოცულს ტყეში იკაფს გზასა სინათლისაკენ შორეულ ცისკიდურის სახილველად,—ეს უდიდესი ბედნიერება იქნება სამშობლოსათვის, თქვენთვისა და თვით მეცნიერებისათვისაც. მართალია, მეცნიერება, ავად, თუ კარგად, ყოველთვის გაიკაფავს გზასა, თავისას გაიტანს, მუდამ ჟამს ჭეშმარიტების კვლევა-ძიებაში იქნება და არ იხელმძღვანელებს ძლიერთა ამა ქვეყნისათა მოწონებით, ანუ დაწუნებით, მაგრამ სულ სხვაა, როცა მას უგულოდ ეკიდებიან, ეჭვის თვალით შესცქერიან, გზაზედ ეღობებიან და როცა მეცნიერს ჰკუაც უჭრის, როცა მეცნიერს ზნეობით ბურჯზედ აქვს დამყარებულნი თვისი კვლევა-ძიებანი, როცა ნამდვილს ფაქტებზედ აქვს აშენებული მისი სამეცნიერო გამოკვლევანი, მაშინ არის მეცნიერი მძლავრი, მაშინ აქვს მის სიტყვას ძალა და საუკუნო მნიშვნელობა.

---

მტერს უნდა მტერობა მიაგო, თორემ ტყავებას დაგვიწყებს და მერე თითზედ კბენა და სინანული გვიანღა იქნება. ჩვენმა მეცნიერებმა, ჩვენმა სწავლულებმა, ჩვენმა მოწინავე მწერლებმა უნდა ახადონ ფარდა „სომხეთა მეცნიერთა“ და გააცნონ ევროპასა მათი ლირფობა, მათი ასეთი ქართველ-ჭამიაობა; უნდა გააცნონ ევროპიელთა მეცნიერებს ასეთი ზნეობით დაცემა „სომხეთა მეცნიერებისა“, რემელნიც მეცნიერბის სახელით ატყუებენ ევროპასა, თეთრს შავად უჩვენებენ და შავს თეთრადა.

ვინ ამბობს, უნდა დაიცვან თვისი ვინაობა, თვისი ისტორია, თვისი ერი, შეინარჩუნონ თვისი მიწა-ადგილი! მოსაწონია, მისაბაძია ამგვარი მისწრაფება სომხებისა. მოსაწონია ბრძოლა ეროვნულის თავისუფლებისათვის, მაგრამ არ უნდა შეეხოს სვინიდისიანი და ნამდვილი თავისუფლების მებრძოლი სხვა ერის პიროვნებასა, არ უნდა შელახოს სხვისი თავისუფლება. ჩვენ ვიცით პატრა ერები, რომლებიც იბრძვიან თვის ქვეყნის თავისუფლებისათვის, აი მაგალითად ავიღოთ ჩეხია. იგი მედგრად იბრძვის თვისის თავისუფლებისათვის, მაგრამ მწიკვლს არა სცხებს სხვა ერის პატიოსნებასა, მის უფლებათა. აი, რა ანდერძი დაუტოვა ამ ცოტა ხანში გარდაცვლილმა სახელოვანმა მამულიშვილმა, დიდმა პატრიოტმა რიგერმა თვის თანამოძმე ჩეხელებსა: „იბრძოლეთ ეროვნულ თავისუფლებისა და ღირსებისათვის, მაგრამ ბრძოლა იმდენად ნუ დაგაბრმავებთ, რომ სხვა ერის პიროვნებას და უფლებას პატივისცემით არ მოეპყრათო“.

მესმის ამნაირი კეთილშობილური ბრძოლა! სომხეთა მამულიშვილები-კი ფჰუღმართს გზას დასდგომიან: სხვისის დამცირებით, სხვისის თავისუფლების, ღირსების და პიროვნების შელახვით, სხვის ისტორიის წაშლითა, სხვისის ტერიტორიის დაჩემებით უნდათ ფონს გავიდნენ, სახელმწიფო ააშენონ და მოწინავე ხალხად გახდნენ აზიაში. ამისთანა ქადაგებით თვალებს უბნევენ ევროპის მეცნიერთა, მაგრამ როდემდის? როდემდის უნდა გასტანოს ამისთანა, უკაცრაული პასუხია, ლირფობამ „სომხეთა მეცნიერებისამ“? როდემდის უნდა ჰხრან ამ „მეცნიერებმა“ მუნჰაუზენის მგელივით ჩვენი ქვეყანა?.. ჰმ!.. ერთი დრო არავის შერჩენია! მოვა დრო, და იგი შორს არ არის, აეხდებათ ფარდა და ევროპა იხილავს, რა „მეცნიერებთანაც“ ჰქონია მას საქმე.

ახლა ნახეთ შინ, ტფილისში, რა შიქასტებს ამბობენ სომხეთა ინტელიგენტები, სომხეთა მწერალნი? რას გვექადიან, რა სახელს გვიწოდებენ?

სულ ერთი თვე არ არის მას აქეთ, რაც ისეთი უკადრისი, ისეთი არა ადამიანური საქციელი ჩაიდინეს სომხეთა ახალგაზდებმა; რომ არ იცი, რა სახელით მონათლო ეს საქციელი. ვინც-კი ჩვენი ცხოვრების ავლადიდებას თვალს ადევნებს, ყველას ეცოდინება, რომ ბ. ნ. ალექსი-მესხიშვილმა რუსულს ენაზედ სთარგმნა ილიას „სომხეთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ და წიგნზე ერთი შაური გადასდო სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისათვის. როგორ თუ ისეთი თავხედობა გაბედა ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა, და სტუდენტთა საზოგადოებას შესწირა პროცენტი იმისთანა წიგნის შემოსავლიდგან, როგორიც არის „სომხეთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადიო“, სადაც „სომხეთა მეცნიერნი“ საცინლად არიან აგდებულნი, სადაც „ქვანიც“ კი ღაღადებენ მათს თავგასულობასაო. არ იქნა, ვინ ხართ ვაჟკაცნი! დაიღუპა კაცობრიობა, დაიღუპა სომხეთიო!!. კრებამ უარჰყო ეს შეწირულება, და დიდის ამბით გამოაცხადეს გაზეთებში ეს უარყოფა.

ჰმ! ეს არ გვაკმარეს; ენა უძვლოა და რას არ წამოროშავს, თუ ადამიანი თავს არ დაუჭერს. მერე „სომხეთა მეცნიერთა“ ენა ხომ ერთობ უძვლოა, თავის დაჭერა და ზრდილობა არ უწერიათ, კარგად იციან რომ ზრდილობით ვერას გახდებიან, თუ ცრუპენტელობის გზას არ დაადგნენ და ყველას თვალები არ აუბნიეს... დიაღ, ეს არ გვაკმარეს და აი თვით ლიტერატურაშიაც გადიტანეს კილვა-კიცხვა. სომხურმა მოწინავე გაზეთმა „მშაკმა“ დასტამბა № 30, თებერვლის სამსა, ყოვლად საზიზღარი წერილი, რომლითაც ქება-დიდებას უძღვნის იმ ვაჟბატონებს, ვინც სტუდენტთა საზოგადოების სახელით უარჰყო შეწირულება ბ-ნ ალექსი-მესხიშვილისა, და საცინლად იგდებს თვით ილია ჭავჭავაძეს, უწოდებს მას ველიჩკოს დამქაშად, სომხეთა ჭამიად, სომხეთა ერის მტერად და სხვანი და სხვანი.

„მშაკის“ გამოლაშქრებას არავითარი განმარტება არა სჭირდება, წაიკითხოს ყველა ქართველმა გუშინდელი ნომერი „ივერიისა“ და ნათლად და ცხადად შეიგნებს, რა თვალით გვიცქერიან, კარგად დარწმუნდება ყველა ჩვენგანი, ვინ არის ერის ჭამია, ვინ არის ერის ღირსების, პატიოსნობის, მის უფლებების შემლახველი და დამთრგუნველი.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც აგერ ორმოცდა ოთხი წელიწადია სახელოვნად მოღვაწეობს, რომლის სახელი განთქმულია არა თუ ჩვენში, თვით ევროპაშიაც; რომელიც ცხარე დამცველია ერის თავისუფლებისა, ღირსებისა, პატიოსნებისა, ერის უფლებებისა, შემქმნელი „კაცია ადამიანისა“, „კლდის ნაამბობისა“, „აჩრდილისა“, „დიმიტრი თავდადებულისა“, „განდეგილისა“, „ნანასი“ და სხვათა მრავალთა ხელის-ხელ საგიჟგმანებელ მარგალიტთა, ილია ჭავჭავაძე, რომლის იდეებზედ რამდენიმე თაობა აღიზარდა, გაუთბა გული მისი წმინდა აზრებითა, რომელიც მუდამ ჟამს მედგრად იცავდა ქართველის სახელსა და დიდებასა, იცავდა მის წმიდათა-წმინდას და ფეხქვეშ არ აქელვინებდა ქართველთა ერის მარგალიტებსა, დღეს ეს ქართველი შეურაცყო სტუდენტთა საზოგადოებამ, შეურაცყო „მშაკმა“, მწიკვლი მოსცხო მის სახელს, და მით მთელს ქართველობასაც. განა ეს მოსათმენია, განა კიდევ უნდა ვექელვინოთ ასე უწყალოდ“!.

პროვინციელი.

—

ძალიან შეუფუცხუნებია ეს ჩემი თანამშრომელი „სომხეთა მეცნიერთა“ ჩმახვასა და ლირფობასა. ღმერთმანი, მე სიცილი ვერ შემიმაგრებია „პროვინციელის“ გულის წყრომის გამო. მე სწორედ მოგახსენოთ, სომხების კაკანი და ჩმახვა სულაც არ მაბრაზებს, სულაც არ მოქმედებს ჩემზედ. მე კიდევაც მიხარიან იმიტომ, რომ „სომხეთა მეცნიერნი“, ვითომდა სომხეთა ერის გულის პასუხის გამომთქმელნი გაზეთები, აი, როგორც მაგალითად „მშაკი“, ჭკვიანი ხალხი მეგონენ. „სომხეთა მეცნიერნი“-კი ეზოვიდამ მოყოლებული არშაგ ჩობანიანით, „მშაკით“ და მათის დამქაშებით ერთობ წინდაუხედავი ცრუპენტელები ყოფილან. მე ეს მათი წინდაუხედაობა ძლიერ მახარებს; ბეცს კაცს დიდი მანძილის გავლა არ შეუძლია ისე, როგორც უფეხოსა, „სომხეთა მეცნიერთა“ კბილთა ხჭეხა, სურვილი ჩვენის გადაყლაპვისა ულონობის ლონეა; ვერსად ვერ მოიკიდეს ფეხი და ახლა ჰსურთ, საკუთარი დიდება ააშენონ ქვიშაზედ.

მეტი რა მოეთხოვება მაგათ, მეტი რა მოეთხოვება

დაე, იარონ ამ გზით, დრო მოვა და მაგათ ცრუპენტელაობას ფარდა აეხდება, ყველ დაინახავს, რა ხალხთან ჰქონია საქმე, ყველა ზურგს შეაქცევს,—ესეც კია, არც ქვეყნის ზურგ შექცევისა შერცხვებათ. მაგრამ ამ გზით სიარული მათ უფსკრულამდე მიიყვანს და თვითვე დაიმარხამენ თავსა. ისეთს კატას გამოსთხრიან, რომ ორის ხელით დიდი კეტი იცემონ თავში, მაგრამ ველარა უშველონ-რა წყლულის გამთელებასა. გზა მშვიდობისა მისცეთ ღმერთმა, იარონ ასე უგზო-უკვლოდ და ცნახამთ, დაუდგეთ ისეთი დრო, რომ „უტეხ ტყეში გლიჯინებდნენ, აღარ ჰქონდეთ ბინა მყუდრო“.

ია ეგაძე.

სულ სხვა, როცა ღირსეულ პატივს ცემით ეპყრობიან: არ უკრძალავენ თამამად წარმოსთქვას ის, რაც შემზარავად მიაჩნია, ხელს უწყობენ მის აღორძინებას და გამოთქვამენ ხალხში განათლების გავრცელებას, სულიერებისა და უნივერსიტეტის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებას და სხ.

ჩვენ უნდა დავრჩეთ მეცნიერ ხალხად— [illegible] ჩვენის ძლიერებისა. პირადად თქვენ, თქვენო უმაღლესობავ, თქვენი მასწავლებლები სულით და გულით გინატრიან, რომ მუდამ [illegible] აზროვნების [illegible] არ გაგეწყვიტოთ კავშირი მეცნიერებასთან. [illegible] ერთმა იმ მეფეთა წინაპართაგანმა—ფრიდრიხ დიდმა: „მეცნიერება [illegible] სიკვდილის საშინელებასაც-კი ამარცხებსო“.

დასასრულ რექტორმა უსურვა მემკვიდრე პრინცს ბედნიერება, ქვეყნის წარმატება, და გადაეცა უნივერსიტეტის მოწმობა.

## ნარევი და ნაკვესი

[illegible]

[illegible] დის ავტორს არ იცნობენ, რედაქციებს შეუძლიანთ მათი წერილი არ დაბეჭდონ თავიანთ გაზეთში. ეს-კი დიდად შეაფერხებს მწერლობას და ბევრს ახალგაზრდა მწერალს გაადებინებს ხელიდგან კალამს. ზოგი რედაქციები კიდეც იქცევიან თურმე ასე.

### „ივერიის“ ფოსტა:

მ—ჯს. 5. ჩ—ლისას. თქვენს წერილს არა ვბეჭდავთ. სჯობს თქვენმა პირდაპირმა მთავრობამვე გაათავოს თქვენი სადაო საქმე. მაგ საქმის გახიახება და გამოთეთრება არ ივარგებს. ჩვენს მტრებს გაახარებს და მოყვარეს-კი გულს დასწყვეტავს.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 მარტს.

**პეტერბურგი.** დანიშნულ იქმნენ: პერმის გუბერნატორი გენ.-ლეიტენანტი არსენიევი—ადესის გრადონაჩალნიკად; ადესის გრადონაჩალნი გენ.-მაიორი გრაფ შუვალოვი—განსაკუთრებულ მინდობილებათა გენერლად შინაგან საქმეთა სამინისტროში.

მარტის 7-ს დაკრძალულ იქმნა განსვენებულ ზღვათა სამინისტროს მმართველის პ. პ. ტირტოვის გვამი. გამოსვენებას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი.

**მოსკოვი.** არსდება ანტრეპრენიორთა საურთიერთო კრედიტის საზოგადოება და მეტოქეობა კერძო თეატრთათვის საუკეთესო პიესის დასაჯილდოებლად.

**კოპენჰაგენი.** ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული მარტის 6-ს მიბრძანდა ჰედოერს, სადაც მას მიეგება მემკვიდრე პრინცი ქალებითა და პრინცი ვალდემარი; დანარჩენნი წევრნი სამეფო გვარეულობისა მისს უდიდებულესობას კოპენჰაგენს დაუხვდნენ.

**ბერლინი.** იმპერატორის ბრძანებით, ზღვათა მინისტრი ტირპიცი პეტერბურგს გაემგზავრა, რათა ზღვათა სამინისტროს მმართველის ტირტოვის დასაფლავებას დასწრებოდა და გვირგვინით შეემკო მისი კუბო.

**ბერლინი.** რუსეთის ელჩის გრაფ ოსტენ-საკენის მეუღლემ მეჯლისი გამართა; მოწვეული იყო 1,000-მდე სტუმარი; მათ შორის ბრძანდებოდნენ გერმანიის პრინცნი და პრინცესანი, ჰერცოგნი, თავადნი, კარის კაცნი, მეცნიერნი, მხატვარნი და პრუსიის იმ პოლკთა ოფიცრები, რომლის შეფადაც ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ირიცხებიან.

„Trank. Z.“-ს სტამბოლიდგან ატყობინებენ,—ბულგარიის აგენტი გეშოვი სოფიას გაიწვიეს, რათა მიმდინარე საქმეთა შესახებ მოხსენება წარადგინოს. საფრანგეთმა არ მოიწონა ხონთქრის სურვილი, რომ მაკედონიაში საფრანგეთის ოფიცრები გაიგზავნონ. შვეციის მეფემ განაცხადა,—მზადა ვარ, ხონთქრის სურვილისამებრ, მაკედონიის პოლიციისა და ჟანდარმერიის მოსაწესრიგებლად ჩემი ოფიცრები გავგზავნო, თუ ეს აზრი პალატებმა მოიწონაო.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. სამხრეთ-აფრიკის საჭიროებათათვის სესხის აღების შესახებ ჩემბერლენმა კარგა ხანს ილაპარაკა და ვრცლად განმარტა ახალშენების ეხლანდელი მდგომარეობა; ორატორის სიტყვით 100,000 ბური დაჰბრუნებია ფერმებს; 15 მილიონის საზღაური გარდახდილ იქმნაო. იმის თქმა, თუ როდის იქნება შემოღებული თვით-მმართველობა, ჯერ არ შეუძლიან. ნება-დართულ იქმნა 20,265,000 გირვანქა სტ. სესხი სამხრეთ-აფრიკისათვის.

**ბუდა-პეშტი.** დეპუტატთა დარბაზი. თუმცა დღევანდელმა კრებამ სამხედრო კანონ.პროექტის შესახებ 8 საათს გასტანა, მაგრამ ობსტრუქციამ შეუშალა ხელი და კამათის განგრძობა შეუძლებელი გახდა.

**პეტერბურგი.** რუსეთის მრეწველობისა და აღებ-მიცემობის დამხმარე საზოგადოება ჰმართავს მოძრავ სამოსწავლო თვალსაჩინო გამოფენას, ხელოსანთა და შინა-მრეწველთათვის. ეს გამოფენა გაიმართება პატარა გემზე (ბარჟა), რომელიც ნაოსნობის დაწყებისათანავე პეტერბურგიდგან მარინეს არხით ნიჟნი ნოვგოროდისაკენ გაემართება; გზა და გზა შეჩერდება იმ ადგილებში, სადაც ბლომად მოსახლეობენ ხელოსანნი და შინა მრეწველნი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ყურადღების ღირსად სცნო ეს სასარგებლო გამოფენა, როგორც უფრო ადვილად ხელმისაწდომი შინა-მრეწველთათვის.

8 მარტი.

**მადრიდი.** გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები ვითომც კოროლი ავად არისო, სიმართლეს მოკლებულია; ამ ჟამად კოროლი ძალიან კარგად არის.

**ლონდონი.** გილდგოლში ჩემბერლენი დიდის ამბით მიიღეს. ლორდ მერმა ჩემბერლენს ადრესი მიართვა. ჩემბერლენმა სთქვა ბურებმა აღმითქვეს, თავიანთი გულ-წრფელი დახმარება თავიანთ ქვეყანაში კეთილ დღეობის დამყარებაშიო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება ტულის სასულიერო სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს თეოდოსეს ებოძოს ეპისკოპოსობა კირილოვსკისა, ნოვგოროდის ეპარქიის ვიკარობა.

7 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა ლეიბგვარდიის საპიორნის ბატალიონი დაათვალიერა. ყაზარმებში დილის 8 საათ. 30 წამ. მობრძანდა. მათმა უმაღლესობამ ყველა როტები დაიარა. აგრეთვე სამზარეულოში ინება საჭმელების გაშინჯვა. ამის შემდეგ-კი სალდათთა ბავშვებთათვის დაარსებულ შკოლაში შებრძანდა. მათმა უმაღლესობამ აქ დილის 11 ს. 5 მინ. დაჰყო.

### მოგებათა ტირაჟი.

მეორე შინაგან სესხის ტირაჟის დროს 1 მარტს **500 მანეთიანი** მოგებანი ჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

№№ ბილეთებისა. №№ სერიისა.

1: 13,534, 19,663, 3,920, 15,553.
2: 2,148, 8,757, 16,488, 1,521, 9,519, 13,225, 13,605, 14,751, 3,326, 10,604.
3: 18,602, 17,156, 7,602, 13,662, 4,898.
4: 8,765, 6,365, 1,355, 3,846, 5,771.
5: 13,146, 10,510, 8,603, 15,388, 6,228, 5,598, 18,099.
6: 10 835, 16,093, 19,278.
7: 4,317, 17,993, 3,895, 9,180, 10,973, 18,962, 2,364, 13,493, 2,690, 3,934.
8: 3,096, 1,617, 19,194.
9: 8,457, 7,984, 15,628, 4,645, 18,142.
10: 11,492, 10,297, 13,754, 19,555, 11,083.
11: 302, 8,808, 14,159, 1,226, 15,508, 18,547.
12: 9,362, 1,888, 13,009, 9,712, 8,153.
13: 12,571, 1,924, 7,795, 5,980, 15,770.
14: 16,697, 13,896, 17,649, 9,452, 10,210.
15: 1,835, 2,232, 14,679, 293, 11,185.
16: 14,762, 13,630, 17,650.
17: 12,889, 3,653, 4,175, 12,657, 1,558, 15,816, 19,208, 13,776.
18: 15,922, 7,693. 11,814, 1.626, 9,615, 5,788, 8,246, 12,863, 1,160.
19: 6,016, 4,778, 1,060.
20: 3,281, 17,271, 9,536, 2,343, 2,298, 3,896, 6,783, 16,353.
21: 10,737, 11,356, 16,740, 13,476.
22: 3,083, 18,938, 2,519, 15,056, 1,264, 14,373, 17,017, 1,123, 11,817.
23: 18,942, 18,529, 4,074, 363, 6,409, 10,366, 16,488, 7,622.
24: 16,786, 9,815.
25: 14,617. 3,892, 16,720, 11,603, 18,452, 7,360.
26: 9,992, 15,359, 13,266, 10,862, 17,931, 8,725, 12,457, 3,845, 16.172, 17,187.
27: 15,978, 4,618, 10,942, 8,240. 4,868, 18,174, 15,353, 14,123, 15,647.
28: 13,406, 1,954, 3,306.
29: 15,592, 5,131, 14,784, 7,193.
30: 10,823, 14,888, 11,865.
31: 618, 10,733, 14,072, 701, 14,675, 3,449.
32: 1,111, 4,595, 19,344, 15,097, 2 212.
33: 6,352, 11,801, 3,969, 8,220, 9,361, 16,068.
34: 19,329, 6,556, 7,898, 12,935.
35: 18,458, 3,080, 1,665.
36: 5,592, 6,119.
37: 14,497, 2,381, 16,640, 1,090, 6,380, 7,371.
38: 2,833, 9,994, 7,938, 6,523, 10,384.
39: 4,223, 194, 4,522, 16,208.
40: 8,249, 10,737, 18,426, 15,468, 11,209.
41: 15,958, 5,201, 4,673, 3,409, 17,080.
42: 15,383, 2,303, 3,062, 17,972, 19,415, 19,275, 323.
43: 3,449, 415, 15,908, 10,304.
44: 17,060, 6,726, 15,244, 2,725. 19,775, 14,260.
45: 16,117, 10,641, 1,105, 5,923. 8,083.
46: 16,762, 9,306, 2,541, 13,174.
47: 4,023, 2,231.
48: 17,807, 13,823, 1,619, 5,468.
49: 1,250, 14,167.
50: 6,850, 6,443, 1,458.

№№ ტირაჟში გაბათილებულ სერიისა.

14,229, 10,036, 10,160, 1,167, 691, 17,209, 9,615, 6,803, 10,963, 1,676, 13,126, 15,515, 18,231, 8,489, 16,524, 7,527, 8,768, 8,518, 1,967, 15,693, 5,328, 9,904, 5,238, 2.473, 2,635, 3,004, 6,132, 5,512, 15,623, 17,141, 9,086, 2,265, 18,118, 6,613, 7,926, 48, 5,913 13,228, 8,787, 3,661, 5,862, 15,534, 10,750, 18,443, 14,182, 7,739, 13,319, 9,844, 3,435, 17,624, 9,883, 17,700, 10,443, 10,233, 7,002, 7,781, 849, 13,943, 13,386, 5,955, 11,690, 13,390, 3,036, 484, 5,793, 3,136, 2,661, 10,410, 9,846, 6,133, 10,606, 17,334, 1,260, 3,979, 1,231, 1,334, 13,819, 3,054, 9,085, 7,052, 14,519, 19180, 5,884, 7,242, 19,391, 8,847, 11,087, 15,676, 15,878, 13,506, 11.084, 15,602, 10,471, 19,757, 4,088, 7,763, 11,174, 15,911, 1,580, 8,928 15,041, 763, 17,028, 5,834, 4,611, 18,376, 3,052, 2,567, 7,553, 9,548, 17,149, 8,428, 19,416, 2,025, 5,004, 6,771, 15,545, 18,925, 12,997, 10,886, 17, 945, 14,723, 10,872, 18,536, 7,445, 12,851, 9,445, 14,024, 10, 614, 19,974, 18,993, 16,747, 2,423, 12,247, 10,759, 1,778. 5,934, 8,180, 6,860, 16,842, 4,807, 17,573, 6,322, 3.053, 17,749, 16,203, 13,727, 5,534, 4,382, 12.129, 19,795, 13,503.

### პეტერბურგის ბირჟა, 4 მარტს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,72½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98⅜ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 101¼ გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95¼ გაყ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 453½ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 348¾ გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 303¾ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 82⅞ წვ. გაყ |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | 85⅛ გაყ. |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 90¾ წვ. გაყ. |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები „ „ „ „ | 490 წვ. გაყ. |
| „ კასპიის ამხანაგობისა. | — |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 199 წვ. გაყ. |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდგან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**ზორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ზორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ.).

### სასამართლოს შესახები ცნობანი.

15 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) ხაიმაშვილების დავა.
2) დავა ი. ღულაძისა და კ. ეგიაზაროვისა.
3) დავა იაკობ გვაზავასი და ანთიმოზ სალოქვაძისა.
4) დავა მარკოზ მურადოვისა და ნ. კახიძისა.
5) დავა ალექსანდრე არხიპოვისა და ბესარიონ ფხაკაძისა.


## განცხადება

### საკოსმეტიკო მასალა

### БЕРТА РИСЪ



მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი



Pasta-Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

**პუდრა**-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

**ფერ-უმარილი**-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის საზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

**დაფნის ბალზამი** (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

**ქინაქინ-გლიცერინის-მიერი** თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

**საღებავი თმისა** (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

**უნგარული ესენცია ულვაშებისათვის** (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, აგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

**ტოკაის ბალზამი** (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—9)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Духи

„Въ Мечтахъ“

ისყიდება ორი სასტუმროს მორთულობა (მებელი): ერთი 150 მ. და მეორე 75 მანათად. უკანასკნელს მებელის შესაფერებელი მძიმე ფარდებიცა აქვს. მსურველთ შეუძლიანთ გაშინჯონ ყოველ დღე დილის 11—საღამოს 5 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა № 16, ბინადრობა ბაბინისა. (4—7—2)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

### სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

### ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

### ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებით შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

### ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის იპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ. (100—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ. 8 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.